საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1117

21/11/2019

ქ. თბილისი

ქ. თბილისში შპს „ჯითიეი ჯგუფის“ ალუმინის ჯართისგან ალუმინის სხმულების წარმოების (ნარჩენების აღდგენა) საამქროს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცების თაობაზე

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის''47-ე მუხლის მე-13 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ქ. თბილისში შპს „ჯითიეი ჯგუფის“ ალუმინის ჯართისგან ალუმინის სხმულების წარმოების (ნარჩენების აღდგენა) საამქროს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება N4; 28.10.2019;
2. შპს „ჯითიეი ჯგუფმა'' უზრუნველყოს ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის, გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით N4; 28.10.2019 დადგენილი პირობების გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში შესრულება;
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „ჯითიეი ჯგუფის“ ,,ალუმინის ჯართისგან ალუმინის სხმულების წარმოების (ნარჩენების აღდგენა) საამქროს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ'' საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 10 აპრილის ბრძანებით (N2-220) დამტკიცებული (#4 26.02.2018) მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება;
4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჯითიეი ჯგუფს“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯითიეი ჯგუფის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება 5 კალენდარული დღის ვადაში განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი